შ.პ.ს. “არქიტექტორები +”

ვამტკიცებ:

შ.პ.ს. “არქიტექტორები+”-ს

დირექტორი ნ. ფარცხალაძე



ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისში, გორგასლის №3(ახუნდოვის №4),სასტუმროს
“ძველი ბაქო” (ყოფილი ტიფლის პალასი) შენობაზე
ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ნაგებობის
ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის
შეფასება

თბილისი 2013

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე დასკვნა ითვალისწინებს ქ.თბილისში, გორგასლის №3 (ახუნდოვის №4), სასტუმროს "ძველი ბაქო" (ყოფილი "ტიფლის პალასი)" შენობაზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ნაგებობის ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას

სამშენებლო უბანი, სადაც განლაგებულია საკვლევი შენობები, ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

საანგარიშო სეისმიურობა 8 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა 50 კგ/მ2

თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50 კგ/მ2

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ.თბილისში, გორგასლის №3 (ახუნდოვის №4), სასტუმროს "ტიფლის პალასის" არქიტექტურული ნაწილი
2. ქ.თბილისში, გორგასლის №3 (ახუნდოვის №4), სასტუმროს "ტიფლის პალასის"კონსტრუქციული ნაწილი
3. საკადასტრო რუქა
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 01.18.04.001.029

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა

ქ.თბილისში, გორგასლის №3 (ახუნდოვის №4), სასტუმროს "ძველი ბაქო" (ყოფილი "ტიფლის პალასი)" ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებული იყო შ.პ.ს "კარიბჭე"-ს მიერ. პროექტის მთავარი არქიტექტორი ო.ნახუცრიშვილი

საპროექტო ნაგებობა შედგება ორი მიწისქვეშა და რვა მიწისზედა სართულისაგან. იგი კარკასული ნაგებობაა. მზიდი კონსტრუქციები მონოლითური რკინაბეტონისაა. მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ქმნის ერთიან ხისტ დიაფრაგმას რაც მნიშვნელოვანია სეისმიური ძალების მისაღებად.

ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, მასში ბზარები, დეფორმაციები და რაიმე დაზიანებები არ შეინიშნება.

ამჟამად შ.პ.ს. "ლ ლ და კომპანია"-ს მიერ, არქიტექტორი მ. ლოსაბერიძე დამუშავებულია რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:

1. სასტუმროს ნაგებობაზე ერთსართულიანი მსუბუქი კონსტრუქციებისაგან "კაფე"-ს მოწყობას. აღნიშნული ნაგებობა აშენებულია, მისი მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობა დამაკმაყოფილელია. იგი მოცილებულია სასტუმროს შენობისაგან და ის გავლენას ვერ მოახდენს სასტუმროს შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე.
2. შენობაზე არსებული ღია გადასასვლელკლის შემინვა
3. აივნების ამოშენება ფასადის იერსახის მოსაწესრიგებლად
4. ბოლო სართულის დონეზე,სატელევიზიო სტუდიის გაუქმებას და შემინვის მოხსნას
5. შიდა ტიხრების გადაკეთებას
6. სარდაფის ნაწილში აუზის მოწყობას. აღნიშნული სამუშაო კონსტრუქციები შესრულებულია,მზიდი დამაკმაყოფილებელმდგომარეობაშია
7. 8 სართულის დონეზე, ხდება ღია "კაფე"-ს შემინვა

აღნიშნული სარეკონსტრუქციო სამუშაოების გავლენა ნაგებობის ტექნიკურ მდგომარეობაზე უმნიშვნელოა, და ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა იქნება დამაკმაყოფილებელი.

დასკვნა

ქ.თბილისში, გორგასლის №3 (ახუნდოვის №4), სასტუმროს “ძველი ბაქო” (ყოფილი “ტიფლის პალასი)” შენობაზე პროექტით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა იქნება დამაკმაყოფილებელი და შენობა ვარგისი იქნება ექსპლოატაციისათვის.

ექსპერტი:  ლ.ზამბახიძე